

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
საბანკო კრედიტის ხელშეკრულების # თავსართი

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	ფიქსირებული
წლიური საპროცენტო განაკვეთი:	%
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	%

ფინანსური ხარჯები

ყოველთვიური შენატანი (ძირითადი თანხა,
პროცენტი, საკომისიო კრედიტის
მომსახურებისთვის):
ვადის ბოლოს შენატანი:

ხელშეკრულებით დაფინანსებული პროდუქტის ფასი:

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი:
ნაღდი ანგარიშსწორების ფასი:

ხელშეკრულების სხვა პირობები

კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა:

მოხმარებლის მიერ გადასახდელი

მთლიანი თანხის ოდენობა:

კრედიტის ვადა:

დღე

საკრედიტო ხელშეკრულების

ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი
ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე.

მოქმედების ვადა:

წინსწრებით დაფარვის/რეფინანსირების

საკომისიო:

პირგასამტეხლო

ვადაგადაცილებისთვის:

გრაფიკით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის: 2 (ორი) ლარი და დავალიანების (ვადაგადაცილებული თანხის) (არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0,27%-სა). ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ:

- მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.
- მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებასთან დაკავშირებული პირობები, მომხმარებლის მიერ განსახორციელებელი ქმედებები/შესასრულებელი ვალდებულებები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, დეტალურად არის მოცემული ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.15 პუნქტში.
- გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 032 2406 406.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება

ერთი მხრივ, სს „თიბისი ბანკი“ (ს/ნ 204854595; ტელ: +99532 2272727; მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7; შემდგომში „ბანკი“) (საზედამხედველო ორგანო: „საქართველოს ეროვნული ბანკი“; მის: თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2) და მეორე მხრივ, (შემდგომში „კლიენტი“/“მსესხებელი“) (პირადი ნომერი: .) მხარეთა შორის დადებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ის“) საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 ამ ხელშეკრულების საგანია ბანკის მიერ მსესხებლისთვის სასყიდლიანი კრედიტის მიცემა სესხის ფორმით და მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.
- 1.2 საბანკო კრედიტის (სესხის) ძირითადი პირობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით.
- 1.3 ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული საბანკო კრედიტით (სესხით) დაფინანსდება ამ ხელშეკრულების 2.18 პუნქტში დასახელებული პირისგან (შემდგომში „ორგანიზაციისგან“) ამ ხელშეკრულების 2.17 პუნქტში აღწერილი ნივთის / მომსახურების შეძენა მსესხებლის მიერ.
 - 1.3.1. მსესხებელი არ არის უფლებამოსილი უარი განაცხადოს ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე იმისდა მიუხედავად, მიეწოდა თუ არა კლიენტს ორგანიზაციის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნივთი / მომსახურება. შესაბამისად, მსესხებელი აღიარებს და აცნობიერებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ წარმოადგენს მსესხებელსა და ორგანიზაციას შორის დადებული ან/და მომავალში დასადები რომელიმე გარიგებასთან ურთიერთდაკავშირებულ გარიგებას.
- 1.4 ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული საბანკო კრედიტის (სესხის) თანხა ჩაირიცხება მსესხებლის ანგარიშზე, რომლიდანაც მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე გადაირიცხება ორგანიზაციის ანგარიშზე.
 - 1.4.1. იმ შემთხვევაში, თუ ვერ განხორციელდა სესხის თანხით შესაძენი ნივთის / მომსახურების მსესხებლის საკუთრებაში გადაცემა, ბანკი უფლებამოსილია კომპანიის მიერ ბანკისათვის უკან დაბრუნებული კრედიტის თანხა ჩაირიცხოს მსესხებლის ანგარიშზე და მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით) მიმართოს სესხის წინსწრებით სრულად დასაფარად.
- 1.5 ამ ხელშეკრულებით კლიენტი ადასტურებს და იძლევა თანხმობას, რომ ბანკი უფლებამოსილია ორგანიზაციის მიერ ამ ხელშეკრულების 2.17 პუნქტში მითითებული ნივთის კლიენტის საკუთრებაში გადაცემის / მომსახურების გაწევის მიზნით, ორგანიზაციას მიაწოდოს ინფორმაცია როგორც წინამდებარე კრედიტის შესახებ, ამავედროულად კლიენტის პერსონალური მონაცემები.
- 1.6 მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საბანკო კრედიტი გაიცემა და ხელშეკრულება ფორმდება ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე, წინამდებარე საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი კლიენტის ვალდებულებები) არ იქნება უზრუნველყოფილი იმ ხელშეკრულებ(ებ)ით/ქონებით (უზრუნველყოფ(ებ)ით), რომლითაც უზრუნველყოფილია ძირითადი ხელშეკრულება(ები).

2. საბანკო კრედიტის პირობები

- | | | |
|------|--|---|
| 2.1 | ძირითადი ხელშეკრულება: | მითითებულია ამ ხელშეკრულების 3.5 პუნქტში |
| 2.2 | კრედიტის ტიპი: | „განვადება“ |
| 2.3 | კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა: | |
| 2.4 | მოხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: | |
| 2.5 | კრედიტის ვადა: | დღე |
| 2.6 | წლიური საპროცენტო განაკვეთი: | |
| 2.7 | საპროცენტო განაკვეთის ტიპი: | ფიქსირებული |
| 2.8 | კრედიტის მიზნობრიობა: | ამ ხელშეკრულების 2.17 პუნქტში აღწერილი ნივთის / მომსახურების შეძენა |
| 2.9 | კრედიტის გაცემის ფორმა: | ერთჯერადი |
| 2.10 | კრედიტის დაფარვის გრაფიკი: | ყოველი თვის რიცხვში (იმ შემთხვევაში, თუ დაფარვის ვადა დაემთხვევა არასამუშაო დღეს კლიენტი ვალდებული იქნება ყოველთვიურად გადასახდელი თანხა გადაიხადოს დაფარვის თარიღის მომდევნო პირველივე სამუშაო დღეს). კრედიტის დაფარვის დაწყების თარიღი. კრედიტი სრულად უნდა დაიფაროს სესხის დაფარვა უნდა განხორციელდეს ბანკის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად. ბანკის მიერ შედგენილი გრაფიკი შეგიძლიათ მოითხოვოთ სს „თიბისი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში/სერვის ცენტრში ან იხილოთ თქვენს ინტერნეტ ბანკში. |

2.11	პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის:	გრაფიკით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის: 2 (ორი) ლარი და დავალიანების (ვადაგადაცილებული თანხის) (არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0,27%-სა). ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
2.12	წინსწრებით დაფარვის/ რეფინანსირების საკომისიო:	0 ლარი
2.13	გასატანი თანხის ოდენობა:	0 ლარი
2.14	პერიოდულობა/გატანის თარიღები:	ერთჯერადად
2.15	ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება:	<p>მსესხებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.</p> <p>წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, ხელშეკრულებაზე უარის დასაფიქსირებლად, მსესხებელმა ბანკს უნდა მიმართოს შესაბამისი მოთხოვნით (განაცხადით) ერთ-ერთი შემდეგი არხით:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბანკის ნებისმიერი ფილიალში ვიზიტით; • სატელეფონო სერვისცენტრთან (+99532 2272727) დაკავშირებით; • ინტერნეტ / მობილური ბანკის მეშვეობით ბანკისთვის მიწოდებული შესაბამისი შეტყობინებით. <p>ზემოხსენებული არხ(ებ)ით ხელშეკრულებაზე უარის განაცხადის დაფიქსირების შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია ნათლად და მკაფიოდ განსაზღვროს იმ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების რეკვიზიტები, რომელ ხელშეკრულებაზეც იყენებს უარის თქმის უფლებას.</p> <p>კლიენტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების (წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული არხ(ებ)ით განაცხადის (მოთხოვნის) დაფიქსირების) შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია შესაბამისი განაცხადის დაფიქსირებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში სრულად დაუბრუნოს ბანკს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საბანკო კრედიტის ძირითადი თანხა; 2. საბანკო კრედიტის თანხით სარგებლობის ფაქტობრივ პერიოდზე/დღე(ებ)ზე (ხელშეკრულების უარის უფლების რეალიზებამდე საბანკო კრედიტის თანხაზე) დარიცხული (წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული) საპროცენტო სარგებელი / დაზღვევასთან დაკავშირებული გადასახდელ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); 3. ნებისმიერი ქონება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რომელიც კლიენტმა ბანკისაგან სარგებლობაში/საკუთრებაში მიიღო

წინამდებარე საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ფარგლებში/შესაბამისად.

წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, ამავე პუნქტით კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ბანკი დაუბრუნებს კლიენტს მის მიერ საბანკო კრედიტის თანხის მისაღებად ბანკისთვის გადახდილ ნებისმიერ გადასახდელს (ხელშეკრულების თავსართით გათვალისწინებული ფინანსური ხარჯ(ებ)ის) (გარდა იმ გადასახდელებისა, რომელთა მიმღებია მესამე პირი (ადმინისტრაციული ორგანო, ნოტარიუსი და სხვა)), რის შემდგომ, ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ბანკი არ არის / არ იქნება პასუხისმგებელი და შესაბამისად, ხელშეკრულება არ ჩაითვლება შეწყვეტილად / მსესხებელს არ დაუბრუნდება მის მიერ კრედიტის თანხის მისაღებად ბანკისთვის გადახდილი ნებისმიერი გადასახდელი, თუ კლიენტის მიერ საბანკო კრედიტის ძირითადი თანხის / კრედიტის თანხით სარგებლობის ფაქტობრივ პერიოდზე/დღე(ებ)ზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის ბანკისთვის დაბრუნების (კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე თანხ(ებ)ის განთავსების/ჩარიცხვის) / კლიენტის ვალდებულების/დავალიანების ბანკის მიერ შესრულების/დაფარვის მომენტისთვის/დღისთვის, კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე გავრცელებული/რეგისტრირებული იქნება სამართლებრივი შეზღუდვა, ინკასო, ყადაღა და/ან სხვა სახის შეზღუდვა/აკრძალვა.

წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით / ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხ(ებ)ის საშუალებით ხელშეკრულების დადასტურებით, კლიენტი ამავედროულად აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების დაფიქსირების (ბანკისთვის შესაბამისი განაცხადით მიმართვის) დღიდან კლიენტის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე პერიოდში, სესხზე უცვლელად და უწყვეტად ხდება საპროცენტო სარგებლის / პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობისას) დარიცხვა, რომლის ამავე/ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით / ვადაში გადახდაც უნდა განხორციელდეს, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში (30 დღე) კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში.

2.16	გატანების საერთო რაოდენობა:	ერთი
2.17	შესამენი ნივთი / მომსახურება:	სხვა; ფასი: ლარი;
2.18	სავაჭრო/მომსახურების ობიექტი (ორგანიზაცია):	
2.19	სესხის მომსახურების საკომისიო:	0.00 ყოველთვიურად (ჯამში 0.00)
2.20	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	%

- 2.21 ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა, პროცენტი, სესხის დაფარვის საკომისიო): გამოიყენება ამ ხელშეკრულების 2.10 პუნქტში აღწერილი წესი.
- 2.22 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი:
- 2.23 ნაღდი ანგარიშსწორების ფასი:

3. სხვა პირობები

- 3.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შევა კლიენტის მიერ ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხების საშუალებით (ბანკომატი, სწრაფი გადახდის ტერმინალი, ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, ვებგვერდი და სხვ.) მისი დადასტურების (ხელშეკრულების პირობებზე თანხმობის გაცხადების) მომენტიდან და იმოქმედებს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე.
- 3.2 ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების 3.5 ქვეპუნქტში დასახელებული ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება ძირითადი ხელშეკრულების მოქმედება და საქართველოს კანონმდებლობით ამ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა მოცემულია ძირითად ხელშეკრულებაში.
- 3.3 ბანკს უფლება ექნება შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა დამატებითი ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ამ მიზნით, საკუთარი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის ხარჯზე და/ან კლიენტის საბანკო ანგარიშების დაყადაღებით/ კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე განთავსებული თანხ(ებ)ის ცალმხრივად განკარგვით, თუ კლიენტი დაარღვევს წინამდებარე და/ან ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ პირობას/ნაკისრ ვალდებულებას და/ან დადგება ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის ნებისმიერი და/ან რომელიმე პირობა..
- 3.4 ბანკის მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში, კლიენტს უფლება აქვს ბანკს მიმართოს პრეტენზიით ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში. ელექტრონული ფორმით პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია ინტერნეტბანკის ან ბანკის ვებგვერდის (www.tbcbank.ge) საშუალებით. პრეტენზიის დაფიქსირება ასევე შესაძლებელია თიბისი ბანკის სატელეფონო სერვის ცენტრში დაკავშირებით: +99532 2 272727. კლიენტის მიერ დაფიქსირებული პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა განმცხადებლის მომართვისა და საჭიროების შემთხვევაში იდენტიფიკაციიდან არაუგვიანეს ერთი თვე. პრეტენზიებს განიხილავს ბანკის მომხმარებელთა მხარდაჭერის განყოფილების პრეტენზიების მართვის გუნდი. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კლიენტს ეცნობება წერილობით ან/და კლიენტთან შეთანხმებით კომუნიკაციის სხვა საშუალებით (სატელეფონო კომუნიკაცია, ელექტრონული ფოსტა, ციფრული არხი) ან/და პრეტენზიის მომართვის ფორმის იდენტურად. პრეტენზიის განხილვის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ ფილიალში/სერვისცენტრში და/ან დისტანციური არხების საშუალებით.
- 3.5 ამ ხელშეკრულების დადასტურებით კლიენტი ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს ბანკის ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას;
- 3.6 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ერთდროულად უწევს რამდენიმე ვალდებულების შესრულება (რამდენიმე კრედიტის ერთდროულად (ერთ თარიღში) დაფარვა), იგი უფლებამოსილია, ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომისას (ყოველ ჯერზე), ვალდებულების დაფარვამდე მიმართოს განცხადებით ბანკის ნებისმიერ ფილიალს / სერვისცენტრს და მოითხოვოს ვალდებულებების შესრულება (სესხის დაფარვა) მისთვის სასურველი თანმიმდევრობით (პრიორიტეტულობით). ხოლო, თუ კლიენტი არ გამოიყენებს წინამდებარე პუნქტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, ბანკი მოახდენს ვალდებულებების დაფარვას შემდეგი პრიორიტეტულობით: პირველ რიგში დაიფარება საკრედიტო ბარათებთან / ოვერდრაფტებთან დაკავშირებული გადასახდელები, შემდგომ დაიფარება არაუზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი და ბოლოს უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი. ამავდროულად, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტული შემთხვევისას, ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული კლიენტის ვალდებულებათა შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა).
- 3.7 წინამდებარე კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის წინსწრებით (სრულად ან ნაწილობრივ) დაფარვის საკითხი/უფლება, რეგულირდება წინამდებარე და/ან ძირითადი ხელშეკრულებით.
- 3.8 ბანკს უფლება აქვს შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება (მათ შორის ელექტრონული, ციფრული და სხვა).
- 3.9 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა

შორის არსებული დავა განიხილება საქართველოს სასამართლოს მიერ. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.